მანანა წერეთელი

ტ ე ს ტ ე ბ ი
ქართულ ენასა და ლიტერატურაში

I ნაწილი

მხატვრული ტექსტის გააზრება
წერითი დავალება
ტექსტის რედაქტირება
ერთიანი ეროვნული გამოცდები 2024-2025

დიოგენე
ფასილიტატორი

მანანა წერეთელი

ტესტები ქართულ ენასა და ლიტერატურაში
I ნაწილი

რედაქტორი: დარეჯან თვალთვაძე – ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2023, 2024, II გამოცემა
ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-904-0

გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, აფაქიძის ქ. 9, ტელეფონი 221 33 21
ელფოსტა adm@diogene.ge
www.diogene.ge

სარჩევი

წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება

წინასიტყვაობა 5

ტექსტი I. ნაწყვეტი ნოდარ დუმბაძის რომანიდან „მე ვხედავ მზეს“ 7

ტექსტი II. ნაწყვეტი მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობიდან „ეშმაკის ქვა“ 13

ტექსტი III. ნაწყვეტი ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან „სარჩობელაზედ“ 17

ტექსტი IV. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „ხმა იდუმალი“ 21

ტექსტი V. ნაწყვეტი გიორგი ლეონიძის მოთხრობიდან „ჩირიკი და ჩიკოტელა“ 23

ტექსტი VI. ნაწყვეტი გოდერძი ჩოხელის მოთხრობიდან „ბებო“ 26

ტექსტი VII. ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა“ 30

ტექსტი VIII. გოდერძი ჩოხელის მოთხრობა „გაღმივლები“ 33

ტექსტი IX. ნაწყვეტი ნოდარ დუმბაძის რომანიდან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ 37

ტექსტი X. ნაწყვეტი ნოდარ დუმბაძის მოთხრობიდან „ბოშები“ 41

ტექსტი XI. შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტი 46

ტექსტი XII. ნაწყვეტი გიორგი ლეონიძის მოთხრობიდან „მარიტა“ 49

ტექსტი XIII. ნაწყვეტები ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან „ოთარაანთ ქვრივი“ 52

ტექსტი XIV. ნაწყვეტი დავით კლდიაშვილის მოთხრობიდან „ქამუშაძის გაჭირვება“ 55

ტექსტი XV. ნაწყვეტები ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან „გლახის ნაამბობი“ 59

ტექსტი XVI. ნაწყვეტი ლევან გოთუას მოთხრობიდან „ყინწვისის ანგელოსი“ 64

ტექსტი XVII. ანა კალანდაძის ლექსი „მკვდართა მზე ვარ“ 69

ტექსტი XVIII. ნაწყვეტი აკაკი წერეთლის მოთხრობიდან „ბაში-აჩუკი“ 71

ტექსტი XIX. ნაწყვეტი მიხეილ ჯავახიშვილის რომანიდან „ჯაყოს ხიზნები“ 75

ტექსტი XX. გოდერძი ჩოხელის მოთხრობა „ცასწავალა“ 78

ტექსტი XXI. რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „დედა“ 82

ტექსტი XXII. ნაწყვეტი გოდერძი ჩოხელის მოთხრობიდან „ბებოს სალომე“ 84

ტექსტი XXIII. ნაწყვეტი რევაზ ინანიშვილის მოთხრობიდან „პატარა ბიჭი გოლგოთაზე“ 89

ტექსტი XXIV. ნაწყვეტები ვაჟა-ფშაველას პოემიდან „სინდისი“ 93

ტექსტი XXV. ნაწყვეტი მიხეილ ჯავახიშვილის რომანიდან „არსენა მარაბდელი“ 97

ტექსტის რედაქტირება 101

შესრულებული დავალების ნიმუში 117

შეფასების სქემა 121

წინასიტყვაობა

წინამდებარე ტესტების კრებული შედგენილია ერთიანი ეროვნული გამოცდების მოთხოვნათა შესაბამისად და განკუთვნილია როგორც აბიტურიენტების, ისე მოსწავლეებისთვისაც. მასში ასახულია ყველა ის ცვლილება, რომლებსაც ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს.

კრებულში შესულია საპროგრამო და არასაპროგრამო ტექსტების წერითი დავალებები (თხზულებები), ამ ტექსტების წაკითხულის გააზრებები ოთხი სავარაუდო პასუხით, ტექსტის რედაქტირებები, მოცემულია, აგრეთვე, შეფასების სქემა და კრიტერიუმები.

გასააანალიზებელი ნაწარმოებები მოიცავს იმ საკითხებს, რომლებიც თანამედროვეობის უმთავრეს პრობლემებად მიიჩნევა და მოითხოვს გულდასმით დამუშავებასა და სათანადო ყურადღებას.

ჩვენი მიზანია, დავალების პირობით განსაზღვრული კონკრეტული პრობლემის მიხედვით აბიტურიენტებმა და მოსწავლეებმა შეძლონ ტექსტის ანალიზი და ამ პრობლემის აქტუალურობაზე მსჯელობა.

წაკითხულის გააზრების შესრულებისას ჯერ ყურადღებით უნდა წაიკითხოთ მოცემული ტექსტი, რათა გაიაზროთ მისი მთავარი სათქმელი და ავტორის მიზანდასახულობა, შემდეგ კი გაეცნოთ შეკითხვებსა და ასარჩევ პასუხებს. ტექსტების ანალიზისას აუცილებელია მათში წამოჭრილი პრობლემატიკის გამოკვეთა და საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ასევე ამ საკითხებზე არგუმენტირებული მსჯელობა. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებთ როგორც საპროგრამო, ისე არასაპროგრამო ტექსტების სწორად გააზრებასა და სიღრმისეულ ანალიზს. აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ, რომ ტექსტის ანალიზის ნაცვლად მისი შინაარსის გადმოცემა, თუნდაც სრულიად უშეცდომოდ, დადებით შეფასებას ვერ დაიმსახურებს.

კრებულის ბოლოს, ტექსტების რედაქტირებასთან დაკავშირებული დავალებების ბლოკში, თვითშემოწმების მიზნით, მოცემულია გასწორებული ვარიანტებიც.

თავად კრებულში განთავსებულ ყველა მასალასთან დაკავშირებით შეგიძლიათ დასვათ კითხვა და მიიღოთ განმარტება.

ვიმედოვნებთ, რომ ეს რესურსი დაგეხმარებათ, უკეთ მოემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის.

გისურვებთ წარმატებას!

წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

ტექსტი I

ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ნოდარ დუმბაძის რომანიდან „მე ვხედავ მზეს“.

ორმოცდასამი წლის ივნისის თბილი საღამო იყო. მამიდამ კოდი გადმოაპირქვავა გობზე და ასწია, გობზე ორი პეშვი ფქვილი ეყარა. მამიდამ ცხელი წყალი დაასხა ზედ და თავჩაღუნულმა ცალი ხელით ზანტად დაუწყო ზელა. მე დავინახე, უცებ როგორ დაეცა გობზე ჯერ ერთი, შემდეგ მეორე კურცხალი...

– რა გატირებს, მამიდა? – ვკითხე, თუმცა მშვენივრად ვიცოდი, რა ატირებდა.

– ესაა, სოსოია, მეტი არ არის, – თქვა მან და ხელისგულით მაჩვენა ცომი.

ოდაში ავედი,სკივრს თავი ავხადე და მამაჩემის ტყავის ქურქი ამოვიღე. – რა არის, ბიჭო, ეს? – მკითხა მამიდამ.

– წავიღებ ამას და სიმინდზე გადავცვლი.

– გაგიჟდი, ბიჭო? – შეეშინდა მამიდას.

– პატარა აღარა ვარ და ჭკუას ნუ მასწავლი! – ვიყვირე და ტუჩები ამიკანკალდა. – წავიღებ, წავიღებ, იტირე რამდენიც გინდა, ამ ჩექმასაც წავიღებ, ამ შარვალსაც, ამ ხალათსაც! – ვყვიროდი და სკივრიდან ვყრიდი ტანსაცმელს. უცებ ხმა ჩამიწყდა... ხალათის ქვევით ორად გაკეცილი ვარდისფერი კაბა იდო. უხმოდ ამოვიღე, გავშალე, მერე ისევ დავკეცე, თავის ადგილზე დავდე, ზევიდან მამის შარვალ-ხალათი დავაფინე და სკივრი დავხურე.

– ჩექმას და ქურქს წავიღებ, მამიდა, მეტს არაფერს, შენ ნუ ტირი. მანასე თავართქილაძის ვირს წავიყვან და ნაბეღლავში წავიღებ სიმინდზე გადასაცვლელად.

მამიდა ხმას არ იღებდა.

– მეც გამოგყვები! – თქვა ხატიამ და ადგა.

მეორე საღამოს ნაბეღლავში შევედით, პირველსავე მოსახლის კართან გავაჩერე ვირი და ჭიშკარს მივადექი. მასპინძელმა გაკვირვებულმა აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერა.

– ღამის გათენება გვინდა, ბიძია.

– მოდი, ბიძიკო, მობრძანდი, – თქვა მასპინძელმა და ჭიშკარი გააღო, ჩავედით ეზოში, ხატია ვირიდან ჩამოვსვი და ხელჩაკიდებული წავიყვანე ოდისკენ.

– კაკანო! – გასძახა მასპინძელმა, – სტუმრები მომყავს და მოგვხედე, თუ ქალი ხარ.

ოთახში უხერხული დუმილი ჩამოვარდა. მასპინძლები გაკვირვებულები გვიყურებდნენ. ერთი სული ჰქონდათ, როდის გაიგებდნენ, ვინ ვიყავით და რა გვინდოდა აქ. ხატია გაღიმებული იჯდა ტახტზე და, ალბათ, ჩემს დალაპარაკებას ელოდა, მე კი ოთახს ვათვალიერებდი. კედელზე ჯარისკაცის ხალათში გამოწყობილი გაბრაზებული ვაჟკაცის სურათი ეკიდა, ერთი ვაჟკაცის ორი სურათი ერთ ჩარჩოში. გაკვირვებული ვუყურებდი ამ სურათს და მიკვირდა, რაში დასჭირდათ ამ ადამიანებს ორი, სრულიად ერთნაირი სურათის ერთ ჩარჩოში მოქცევა.

– ვისი ხართ, ნენა, თქვენ? – გვკითხა უცებ დიასახლისმა.

– ჩვენ, დეიდა, ტანსაცმელი წამოვიღეთ სიმინდზე გადასაცვლელად და დაგვაღამდა გზაში. თუ არ გაგიჭირდებათ, გაგვათევიეთ ღამე, – თქვა ხატიამ.

– მოგიკვდეს, შვილო, ჩემი თავი, ღამეს გაგათევიებთ კი არა, სულ არ გაგიშობ შინ, ოღონდ აქაურობა მოგეწონოს, – ისევ დაფაცურდა კაკანო.

– რა ტანსაცმელი გაქვთ, ბიძიებო, სიმინდზე გადასაცვლელად? – იკითხა მასპინძელმა. ხურჯინი დავუდგი წინ. ბაბილო დიდხანს ათვალიერებდა ქურქს, მერე ჩაიცვა, კედელზე ჩამოკიდებულ სარკეში ჩაიხედა, თავი გადააქნია და ტახტზე დადო ფრთხილად, მერე ფეხი ჩაყო ჩექმაში.

– აგაშენა ღმერთმა, როგორ ყიდი, ბიძიკო, ამ ჩექმას? – მკითხა და წამოდგა.

– ერთ ფუთ სიმინდად!

კაკანომ ამასობაში შუა ოთახში დაბალი მაგიდა დადგა, პრასის წნილით, ჭყინტი ყველით და ცივი ჭადით გააწყო, მერე ერთი დოქი ღვინო მოიტანა და სუფრასთან მიგვიპატიჟა. ხატიას ხელი მოვკიდე და მაგიდასთან დავსვი. ბაბილო თვალს არ აცილებდა ხატიას, კაკანოს ლოყაზე შემოედო ხელი და სინანულით თავს აქნევდა. ბაბილომ ღვინო დაგვისხა, თვითონაც შეივსო.

– ვინ ხართ, ბიძიებო, თქვენ? – გვკითხა ბაბილომ და სასმენად მოემზადა.

– მე სოსო ვარ მამალაძე, აგი ხატიაა!

– მე და სოსოიე ერთ კლასში ვსწავლობთ, – თქვა ხატიამ.

– შვილო, შვილო! – თავი გადაიქნია კაკანომ, – სადაა ღმერთი, თორემ შენისთანა ანგელოზი მზეს და დღის სინათლეს როგორ არ უნდა ხედავდეს! – და ხატიას თმებზე აკოცა.

– მზეს კი ვხედავ, ბათუმელმა ექიმმა უთხრა მამაჩემს, მზეს თუ ხედავს, დავუბრუნებ სინათლესო. ომი რომ გათავდება, წამიყვანს მამა ბათუმში და ოპერაციას გამიკეთებენ, – თქვა ხატიამ და ჭამას შეუდგა.

– რა გქვია, შვილო? – ჰკითხა კაკანომ.

– ხატია!

– მართლა ხატია ხარ, ღმერთმა სიკეთე მოგცეს, შვილო! – დალოცა კაკანომ.

ნავახშმევს ისევ ბაბილომ დაიწყო ლაპარაკი: – დამიტოვე, ბიძია, აგი ჩექმა, მაგრამ პატარა შეღავათი მომეცი. ჭირს ახლა ჭადი, კი იცი შენ მაგი, ჰოდა, ერთ ბათმან სიმინდს მოგცემ.

– ქურქსაც თუ იყიდი ორ ფუთად, კი, – გადავწყვიტე მე.

– მაგი ქურქი და ჩექმა სოსოიეს მამისაა, რომ არ უჭირდეს, სულ არ გაყიდის! არ ატანდა მამიდამისი და ძალით წამოიღო სოსოიამ.

– კაკანო, გაუხაზირე ამ ბაღნებს ხუთბათმანნახევარი სიმინდი, – კაკანო უხმოდ გავიდა მეორე ოთახში და თან ჩემი ტომარა გაიტანა.

ვიდრე კაკანო ლოგინებს დააგებდა, მე ისევ კედელზე ჩამოკიდებულ გაბრაზებულ ვაჟკაცს შევხედე და ისევ გამიკვირდა, რაში დასჭირდა ბაბილოს ერთი კაცის ორი სურათის ერთ ჩარჩოში ჩასმა.

– ბაბილო ბიძია, რა ჰქვია თქვენს შვილს?

ბაბილომ თავი ასწია და სურათს შეხედა ნაღვლიანი ღიმილით: – რომლის სახელი გაინტერესებს, ბიძია, შენ?

– დამცინი, ბაბილო ბიძია? – გავიკრიჭე მე.

ბაბილომ გაიღიმა: – ოცი წელიწადი მე თვითონ ვეკითხებოდი, სოსოია ბიძია, რომელს რომელი სახელი გქვიათ-მეთქი, ოცი წელიწადი ორივეს ცემდა დედამისი ერთის ეშმაკობისათვის, არ მოვტყუვდეო. ორივე ერთ დღეს წაიყვანეს ომში, ბიძიებო, აგი სურათი ომიდან გამომიგზავნეს პირველ თვეს; მერე დაიკარგნენ და დაგვღუპეს მე და აგი დედაბერი...

– შვილო, შვილო, ვინ იცის, როგორ უჭირდათ მაშინ, ვაი დედათქვენს, ახლა სად ხართ! გშიათ ეგება, გწყურიათ, გტკივათ ეგება რამე, სასიკვდილე დედათქვენი კი კიდევაც ჭამს, კიდევაც სვამს და ქვა რომ ურტყა თავში, მაინც არ კვდება, – ატირდა კაკანო.

– კარგი ახლა, ქალო! – გაუჯავრდა ბაბილო ცოლს, – ასეა, ბიძიებო, დილიდან საღამომდე, სამი წელია, არ გაუთავდა ცრემლი ამ ჩემი ცოდვით სავსეს, მეც მკლავს და თავსაც იკლავს.

– კაკანო ბიცოლა, მასე იყო ჩვენს სოფელში მეზობელი სამი წელი დაკარგული და გამოჩნდა, გუშინწინ გამოჩნდა სწორედ... ჩვენ რომ წამოვედით, იმის წინა დღეს... – თქვა უცებ ხატიამ.

– ბედნიერი დედამისი, რაო, რას იწერება?... – კაკანომ თავი ასწია.

– იწერება კი არა, თვითონ ჩამოვიდა... მოყევი სოსოია, შენ იქ არ იყავი?... – წამკრა მუჯლუგუნი ხატიამ. რა უნდა მეთქვა, ვიჯექი პირდაღებული. არაფერი არ მახსოვდა, მახსოვდა მარტო ის, რომ ამ ერთ თვეში ჩვენს სოფელში არავინ დაბრუნებულა.

– ახლა ჩვენი თვითმფრინავები ბერლინს ბომბავენო... მალე მეორე ფრონტი გაიხსნებაო... მალეო!.. ისეა მოწყობილი სანგრებიო, ათასში ერთი კაცი თუ დაიჭრება, სიკვდილით იშვიათად ვინმე მოკვდესო. გარბიან და გარბიან გერმანელებიო... თქვი, სოსოია, კიდე რა თქვა ვაჟიკომ, არ გახსოვს? ქვეყნის ქართველები იყვნენ ჩემთანო, მგონი ისიც თქვა, ძმები იყვნენო... – ხატიამ ნერწყვი გადაყლაპა. ხახა გამიშრა, ბაბილოს ჩიბუხი აუკანკალდა ხელში, კაკანომ კი დაიჩოქა ხატიას წინ.

– ძმები იყვნენო, ხომ? ძმებიო... ვაშლი რომ გაგიპია შუაში, ისე გავდნენ ერთმანეთსო...

– ტყუპები იყვნენო? – იკითხა ხმის კანკალით ბაბილომ – სახელები?

– თქვა და არ მახსოვს.

– წამოვალ შენთან ერთად, შვილო, შემახვედრე ის კაცი! – სთხოვა კაკანომ ხატიას.

– სოსო, ერთი დღით იყო ჩამოსული, ხომ? – მკითხა ხატიამ დუმილის შემდეგ.

– ერთი დღით, ხატია! – ძლივს ამოვიღე ხმა. – წერილს მივწერ და გავიგებ ყველაფერს, კაკანო ბიცოლა! – ვუთხარი და სახე ავარიდე.

– ღმერთო, ცოცხლები მყავს, აბა, ჩემი ბიჭები? ღვთისმშობელო, შენი სახელის ჭირიმე. ძმები იყვნენო?.. გავდნენ ერთმანეთს ძალიანო?.. ბევრი ტყუპია ქვეყანაზე, მამაო ზეციერო, და ყველას უცოცხლე! – აღაპყრო ხელები კაკანომ. მთელი ამ ხნის განმავლობაში ბაბილო ხმას არ იღებდა. და მე მეშინოდა, რომ ახლა წამოდგებოდა, ხელს წაგვავლებდა და ქუჩაში გაგვყრიდა ამ ორ უსინდისო მატყუარას, მაგრამ იგი იჯდა მშვიდი, გაღიმებული... თვალს არ

აცილებდა ხატიას, ხელები ოდნავ უთრთოდა და მარჯვენა წარბი უთამაშებდა. ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, მარტო კაკანოს ჩურჩული ისმოდა, ალბათ, ღმერთს სთხოვდა რაღაცას, ხოლო კედლიდან ისევ მიყურებდა ორი გაბრაზებული ვაჟკაცის ორი სურათი, ერთ ჩარჩოში ჩასმული.

— დაიძინეთ ახლა, ბიძიებო, ტკბილი ძილი მოგცეთ უფალმა ჩვენი გულის გახარებისთვის, — თქვა ბოლოს ბაბილომ, მერე ადგა, კაკანოს ხელი მოჰკიდა და გაიყვანა.

თვალი რომ გავახილე, თენდებოდა. ეზოში ჩავედით, მერე დავბრუნდი, ტომრები ჩამოვარბენინე ოთახიდან, ერთმანეთზე გადავაბი და ვირს გადავკიდე გაჭირვებით.

— ჰაიტ, თქვე ჯიბგირებო, მიიპარებით? — მოგვესმა უცებ. აივანზე თმაგაბურძგნული, წელზევით პერანგის ამარა ბაბილო ბიძია იდგა, — მომჭერით თავი? ასე უჭმელ-უსმელი მიდიხართ? რას იტყვის ხალხი, — თქვა ბაბილომ და თითით დაგვემუქრა.

— ბაბილო ბიძია, მადლობელი ვართ თქვენი, მაგრამ ასე ადრე თუ არ წავედით, დაგვაღამდება გზაში. — დავეჯღანე ბაბილოს.

— მოიცადე, ბიძია, მოიცადე! — თქვა ბაბილომ, ოთახში შებრუნდა და ცოტა ხანში გამოვიდა აივანზე. თვალები დამიბნელდა: ბაბილოს მკლავზე ქურქი ეკიდა, ხოლო ხელში ჩექმა ეჭირა. დინჯად ჩამოვიდა კიბეზე და ჩემ წინ დადგა. სიტყვის ამოღებას ვერ ვბედავდი, პირი გამშრალი მქონდა და სიკვდილივით მეშინოდა, უცებ ტირილი არ წამცდენოდა.

— აღარ გინდა, ბაბილო ბიძია? — ვკითხე ჩამწყდარი ხმით.

— აღარ მინდა, ბიძია! — თქვა ბაბილომ. სხვა გზა აღარ მქონდა, შევტრიალდი და ტომრების ჩამოხსნა დავიწყე.

— რას შვები, ბიჭო?.. არა, ბიძიკო, არა, სიმინდს კი არ გართმევ უკან, აგი ჩექმა და პალტო წაიღე, თორემ სიმინდი რა შავ ქვად მინდა, — მითხრა ბაბილომ და თმები მომქაჩა.

— ბაბილო ბიძია... არ მინდა, აბა, სიმინდი... მე... მე... მათხოვარი კი არ ვარ!.. — ამოვღეჭე ძლივს და შევატყვე, როგორ მომაწვა სისხლი სახეზე და როგორ გავწითლდი.

ბაბილო უცებ აფეთქდა: — ჰაიტ, შე მამაძაღლო, ვის გაუბედე მაგის თქმა? მათხოვარი ვიყავი მე, თოფი რომ გამოგართვი? რაღაც ორი კაკალი სიმინდი მისცეს კაცმა კაცს, მათხოვრობაა მაგი? გაიგონე, ხატია, რა ამოუვიდა პირიდან? — მე თავი ვეღარ შევიკავე და ყელში მომდგარ ცრემლს გზა მივეცი. ავტირდი გალახული ბავშვივით ამხელა მუტრუკი.

— არა, ბიძია, არა, არ გრცხვენია, ბიჭო? — მომხვია ხელი ბაბილომ. — პატარას რომ წამოჩიტდები, მერე შენ თვითონ გამოეწყვე ამაში. მე შენ გეტყვი, არ დაგშვენდება. მერე მესტუმრე, თუ მშვიდობა იქნა, ჩემი ბიჭების ქორწილში, გეყურება? არ დამაღალატიანოთ შენ და ხატიამ. წადით ახლა, ბიძიებო... — თქვა ბაბილომ და ფრთხილად მომიშორა.

— ბაბილო ბიძია! — თქვა ხატიამ და ბაბილოსაკენ წამოვიდა.

— რა იყო, ხატია? — უპასუხა ბაბილომ და ხატიას შეეგება. ხატია ბაბილოს წინ დადგა, მერე ხელებით სახე მოუძებნა, ფეხის წვერებზე წამოიწია, თავისკენ დახარა და მაგრად, მაგრად აკოცა ლოყაზე. ხატიას ხელი მოვკიდე და ჭიშკრისაკენ წავიყვანე. ვირი თავისით გავიდა ღია ჭიშკარში და გზას დაადგა.

წაკითხულის გააზრება (10 ქულა)

(1) 1. საქართველოს ისტორიის რომელი პერიოდია აღწერილი რომანის მოცემულ მონაკვეთში?

ა) პირველი მსოფლიო ომი.

ბ) საქართველოს გასაბჭოების პერიოდი.

გ) მეორე მსოფლიო ომი.

დ) მე-20 საუკუნის 90-იანი წლები.

(1) 2. რატომ დააბრუნა სოსოიამ სკივრში ვარდისფერი კაბა?

ა) მამიდის გაბრაზების შეეშინდა.

ბ) დედის უკანასკნელი სახსოვარი ვერ გაიმეტა.

გ) გასაყიდად საკმარისი იყო ის ნივთები, რაც აიღო.

დ) იფიქრა, რომ ვერ გაყიდდა.

(1) 3. რა იგულისხმება სოსოიას სიტყვებში: „მშვენივრად ვიცოდი, რა ატირებდა." – რა იცოდა მან?

ა) რომ მამიდა იმედგაცრუებული იყო.

ბ) რომ მამიდას მისი მშობლების დაღუპვა ატირებდა.

გ) რომ მამიდას მისი იმედი აღარ ჰქონდა.

დ) რომ მამიდას უკანასკნელი ლუკმა ეჭირა ხელში.

(1) 4. რატომ აღარ გაუწია მამიდამ წინააღმდეგობა სოსოიას, როცა მან მამის ნივთები ამოიღო სკივრიდან და გასაყიდად გაამზადა?

ა) სიღარიბის გამო მეტი გზა არ ჰქონდათ.

ბ) ამ ფულით ჯარისკაცებს უნდა დახმარებოდნენ.

გ) მეზობლის ვალი ჰქონდათ.

დ) სოსოიას ახალი ტანსაცმელი სჭირდებოდა.

(1) 5. რა მხატვრულ ხერხს იყენებს მწერალი პერსონაჟების დიალოგის დროს?

ა) ბარბარიზმებს.

ბ) ნეოლოგიზმებს.

გ) დიალექტიზმებს.

დ) ფრაზეოლოგიზმებს.

(1) 6. რა მიზნით მოატყუა ხატიამ მასპინძლები?

ა) თავი რომ მოეწონებინა.

ბ) იმედი რომ მიეცა.

გ) რომ დაემშვიდებინა.

დ) რომ დაეფიქრებინა.

(1) 7. სოსოიას რა თვისებები იკვეთება იმ დროს, როცა ხატია იტყუება და მისგან დადასტურებას ელის?

ა) თავმდაბალი და მოკრძალებულია.

ბ) მგრძნობიარე და გულჩვილია.

გ) წრფელი და კეთილსინდისიერია.

დ) სამართლიანი და პრინციპულია.

(1) 8. რაზე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ როცა ხატია იტყუებოდა, ბაბილო „ხმას არ იღებდა," „იჯდა მშვიდი, გაღიმებული..."

ა) რომ მიხვდა ახალგაზრდების ჩანაფიქრს.

ბ) რომ არაფერი ჰქონდა სათქმელი.

გ) რომ ახალგაზრდების ქცევა არ მოეწონა.

დ) რომ ახალგაზრდებს არ დაუჯერა.

(1) 9. რომელ ფრაზაშია გამოყენებული მხატვრული საშუალება?

ა) „თვალი რომ გავახილე, თენდებოდა."

ბ) „ავტირდი გალახული ბავშვივით ამხელა მუტრუკი."

გ) „ხატიას ხელი მოვკიდე და ჭიშკრისაკენ წავიყვანე".

დ) „მერე დავბრუნდი, ტომრები ჩამოვარბენინე ოთახიდან."

(1) 10. ბაბილოს რა თვისებებზე მიუთითებს მისი ქცევა, როცა ჩექმა და ქურქი დაუბრუნა სოსოიას?

ა) მზრუნველობასა და ყურადღებაზე.

ბ) თავდაჯერებულობასა და სიამაყეზე.

გ) უდარდელობასა და გულგრილობაზე.

დ) უანგარობასა და დიდსულოვნებაზე.

(34) დაწერეთ თხზულება თემაზე: წუთისოფელი მადლის მოსაპოვებლად შექმნილი გზაა და სწორედ ამ გზაზე გადალახული განსაცდელებით მაღლდებიან ადამიანები ომის მძიმე პერიოდშიც კი.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი ტექსტის მოცემულ მონაკვეთში ეს პრობლემა და რამდენად აქტუალურია იგი დღეს.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას. ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები. ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ: ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი – ხუთი წინადადებით. ნაშრომი, რომლის მოცულობა არ აღემატება 150 სიტყვას, ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

ტექსტი II

ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობიდან „ეშმაკის ქვა“:

სოფიო, სასწავლებლის დამთავრების მერე, სოფელს ეწვია. ახალგაზრდა ქალი მალე სოფლის თვალად გადაიქცა. საოცარი არსება იყო: გულჩვილი და მგრძნობიარე. ყველა მასთან მოდიოდა და სოფიო მათი ექიმიც იყო, მოსამართლეც, ჭირისუფალიც, დამრიგებელიც და მანუგეშებელიც. მას მთელი სოფელი ანგელოზად იხსენიებდა. ერთხელ სოფელში რაღაცა სახადი გაჩნდა და ერთ კვირაში მთელ სოფელს მოედო. სოფიო დაფაცურდა. ტფილისიდან ექიმი მოიწვია, მასთან ერთად დილიდან-საღამომდე ავადმყოფებთან, უბნიდან უბანში გადადიოდა და თან ნუგეში, ტკბილი სიტყვა და სათნოება დაჰქონდა. მალე თვითონაც გახდა ავად. ძლივს გადაურჩა სიკვდილს.

იმ ზაფხულს სოფელში ქურდობა გავრცელდა, ბოლოს სახლების მტვრევასაც შეუდგნენ. ხალხმა იცოდა, ქურდი „მგლის ლეკვი“ იყო, მაგრამ ხმას არავინ იღებდა, ეშინოდათ. „მგლის ლეკვი“ დათას ერქვა. ის ერთი თავზეხელაღებული, შარიანი, ქვეშქვეშა და ბოროტი ადამიანი იყო. „მგლის ლეკვი“ იმიტომ დაარქვეს, რომ გარეგნობით და ხასიათითაც მართლა მგელს ჰგავდა. მის პირსახეზე ღიმილი ან სიცილი არავის ენახა. მუდამ თავჩაქინდრული დადიოდა და შუბლ-ქვეიდან ბოროტად აცეცებდა შავ თვალებს. ამხანაგად თავისი ბიძაშვილი სოლო ჰყავდა. სოლო გულკეთილი ყმაწვილი იყო, მაგრამ უხასიათობის გამო დათამ დაიმორჩილა და ერთგულ ხელქვეითად გაიხადა.

ერთხელ, დილაადრიანად, სოფელში რაღაც ხმაური ატყდა. ქვემო უბანში, სოფლის განაპირას, ერთი მარტოხელა ქვრივი იდგა. სოფელში ხმა დადიოდა, ამ დედაკაცს კედელში ფული და ვერცხლეულობა აქვს შენახულიო. იმ ღამეს, თურმე, დათა და სოლო ეწვივნენ ქვრივს, ძალით შეამტვრიეს კარები და ხანჯლებით დაადგნენ. ქვრივმა ჯერ უარი უთხრა, მერე კი, როცა ძალა დაატანეს, ერთი პატარა კოლოფი მისცა, რომელშიც თვრამეტი მანეთი და სამი აბაზი იდო. ქურდებს თავ-პირი ყაბალახებით ჰქონდათ ახვეული, მაგრამ ქვრივმა მაინც იცნო და მიაძახა: – თქვე არამზადებო, განა ვერ გიცანით?! დამაცა, შე მგლის ლეკვო, შენა!.. ორივენი შეჩერდნენ და წაიჩურჩულეს, მერე უბედური დედაკაცი ხანჯლებით აკუწეს და გაიქცნენ. ხალხმა ალღო აიღო და ორივე მკვლელს კარზე მიადგა. სოლო მაშინვე გამოტყდა. დათა კი ცივ უარზე იდგა და ჩვეულებრივ თვალებს აბრიალებდა.

სოფიო ნაავადმყოფარი იყო, როცა მასთან „მგლის ლეკვის“ მოხუცი დედა მოვარდა, ფეხებში ჩაუვარდა და ატირდა: – ქალბატონო, მიშველე!..

სოფიოც დაფაცურდა: – ნუ გეშინია, ვუშველი!..

მთელ სოფელს ქვრივის სახლის ეზოში მოეყარა თავი. სახლიდან მოისმოდა დედაკაცების მოთქმა. კეტებითა და ხანჯლებით შეიარაღებულმა ათიოდე ახალგაზრდამ ორი შებოჭილი კაცი შემოიყვანა ეზოში. ხალხი მიესია. ყველა მკვლელებისკენ იწევდა, რიგ-რიგად აფურთხებდნენ. სოლოს ნაცრისფერი ედო, თვალზე ცრემლი უბრწყინავდა, დათა კი შუბლქვეიდან მგელივით იცქირებოდა, თვალებს ათამაშებდა, იქაურობას ათვალიერებდა და ეტყობოდა, რომ მხოლოდ თავის დაღწევაზეღა ჰფიქრობდა. ოთხმა კაცმა ფარდაგი გამოიტანა, დათას და სოლოს ფეხებთან გაუშალეს და ზედ ცხედარი დაასვენეს. ერთმა დედაკაცმა ცხედარს სუდარა ახადა და

ჭრილობები გამოუჩინა. მკვდარი სიჩუმე ჩამოწვა. დათას პირსახეზე ცვლილება არ დაეტყო. ცხედარს თვალი მოაშორა და განზე დაიწყო ცქერა. სოლო ქვრივის გვამს მიაჩერდა. ცოტა ხანს ჩაციებით უყურებდა, გაშეშდა, თითქო გულის ფეთქვაც კი შეიჩერაო. მერე ნელ-ნელა ცახცახი დაიწყო, ტუჩები აუკანკალდა, ტანში მოიშალა, მუხლი მოდრიკა, ცხედარს გულზე დაეცა და ქვითინით ამოიკვნესა: – ვაი, დედილო-ო! ეს ორი სიტყვა ხალხს ნაკვერჩხალივით მოხვდა. სოფიო მთელი ტანით ცახცახებდა, სახე გაფითრებული ჰქონდა და აჩქარებით სუნთქავდა.

დათას დედა ჩურჩულით ემუდარებოდა სოფიოს: – შენი ჭირიმე, ქალბატონო!..

სოფიო პასუხს არ აძლევდა და წეღანდელივით აღარ ამშვიდებდა. სოლო კი ქვრივის გულზე გულამოსკვნით ტიროდა...

– გაუხსენით ხელები, თქვე ურჯულოებო! – დაიძახა ვიღაცამ. ხუთნი მისცვივდნენ და გაუხსნეს ხელები. ყველა გრძნობდა, რომ ხალხმა სოლოს დანაშაული აპატია. სოლო ხალხში გაერია და მიიმალა. ჯერი დათაზე მიდგა. დათა მართლა ხაფანგში გაბმულ მგელს ჰგავდა: უფრო დადაბლდა, მოიკუნტა და კისერი მხრებში ჩაიძვრინა.

ვიღაცამ შეუტია: – დაიჩოქე, შე მგლის ლეკვო!. მაგრამ დათამ ფეხიც არ მოიცვალა. ხალხი ისევ გაბრაზდა. მისცვივდნენ, ხელი წაავლეს და უნდოდათ ძალით დაეჩოქებინათ, მაგრამ ვერ დააჩოქეს. დათა გაძალიანდა. მისმა სიკერპემ და ურჩობამ ხალხი უარესად გააცეცხლა.

– ხალხო! – ხმამაღლა დაიძახა ერთმა მოხუცმა, – ეს მგელი რომ ცოცხალი გავუშვათ, მთელ სოფელს აიკლებს. მთავრობას რომ გადავცეთ, ისევ გამოუშვებენ და უარეს დღეს დაგვაყრის, ჩვენვე უნდა გავუსწორდეთ!.. უცებ ამ ხმაურში მკაფიოდ გაისმა ის ერთადერთი სიტყვა, რომელიც ყველას ენაზე უტრიალებდა, მაგრამ მის წარმოთქმას ჯერ ვერავინ ჰბედავდა: – ჩავაქვავოთ!..

დათას დედა, თმაგაწეწილი და ელდანაცემი, დაფეთებული დარბოდა, აქეთ-იქით აწყდებოდა და ხრინწიანი ხმით იხვეწებოდა: – ხალხო, მაპატიეთ... ხალხო, მე მაპატიეთ... პასუხად კი იგივე ერთი სიტყვა ისმოდა: – ჩავაქვავოთ! ჩავაქვავოთ!.. ხალხი შეინძრა და უკვე გაფითრებულსა და შეშინებულ დათას გარს შემოერტყა. ზოგი მუშტით ემუქრებოდა, ზოგი – ჯოხით. ის ერთი სიტყვა კი კვლავ ჰგრგვინავდა და ჰქუხდა. ამ სიტყვას რაღაც იდუმალი, უხილავი და საშინელი ძალა ჰქონდა. სოფიოს პირსახეზე კუნთები უთრთოდა და გაფითრებული შესცქეროდა დათას. იმ ერთმა სიტყვამ მასაც აუბა თვალი, იმჟამად სასტიკი განაჩენი სოფიოსაც უმაღლეს სამართლიანობად მიაჩნდა და მის აღსრულებას ის ხელს აღარ შეუშლიდა და მოხუც დედაკაცს შვილს აღარ გადაურჩენდა. დათა ატოკდა, გაიწია, ორ ახალგაზრდას ხელიდან გაუსხლტა და ხალხში შეერია. დაედევნენ და დაიჭირეს. იკბინებოდა, წიხლებს ისროდა, იბრძოდა, ჰღმუოდა, მაგრამ ყურს აღარავინ არ უგდებდა. ყველანი გაიშალნენ და ქვებს დაუწყეს აკრეფა. დათამ წრე გაარღვია და თავქვე დაეშვა. ხალხმა იგრიალა და ყვირილით დაედევნა. ჰაერში ჯერ ერთმა ქვამ გაიელვა, მერე მეორემ, მესამემ და ბოლოს ქვის სეტყვა წამოვიდა. დათა ჯერ წატორტმანდა და ჩაიკეცა. შემდეგ წელი აითრია და ფოფხვა დაიწყო, მაგრამ ბრბო უკვე თავთ წაადგა. ყვირილი შეწყდა და მხოლოდ ქვის რახარუხიღა ისმოდა. სოფიოსაც ერთი ქვა ეჯირა. ერთი მოხუცი დედაკაცი გაცხარებით იმ ჩაქვავებულზე უთითებდა და რაღაცას ეუბნებოდა. სოფიომ შორიდანვე მაღლა ასწია ხელი, ქვევით გაექანა, ხალხში შეიჭრა და მიიმალა. ერთი წუთის შემდეგ უკანვე გამოვარდა და გამოიქცა. ყველაფერი გათავდა. ხალხი ჯერ შესდგა, მერე გაიფანტა. ყველა ქურდივით მიიპარებოდა. ერთმანეთს თვალს არიდებდნენ, რადგან ერთმანეთისა სცხვენოდათ.

გაფითრებული სოფიო ნაწყვეტ-ნაწყვეტ იხდიდა ბოდიშს: – მე... არ მინდოდა... იმ დედაკაცმა... შემაცდინა... – მეტი ვეღარაფერი სთქვა, ტირილი დაიწყო და სიცილიც გაურია: – ერთი ქვა, ერთადერთი ქვა მეც ვესროლე... ერთი ქვა, ერთადერთი...

შეწუხებული და თითქმის გულწასული გოგონა იმავე საღამოს ხელმეორედ ჩავარდა ლოგინად. ვისაც დაინახავდა, ყველას იმ ერთ ქვაზე ელაპარაკებოდა და არწმუნებდა, რომ ის ავი ქალი არ იყო, ის ვიღაცამ შეაცდინა, თვალები დაუბნელდა და ისიც კი არ ახსოვდა, თუ როგორ აიღო ის ერთი ქვა და როგორ ესროლა დათას.

ერთი კვირის შემდეგ ავადმყოფი ხელიდან გამოგვეცალა.

წაკითხულის გააზრება (10 ქულა)

(1) 1. რატომ „იხსენიებდა მთელი სოფელი ანგელოზად“ სოფიოს?

ა) ის ძალიან ლამაზი იყო.

ბ) ცოდვა არ ჰქონდა ჩადენილი.

გ) სოფელს ეხმარებოდა ყველაფერში.

დ) თვითონ უნდოდა, ასე ეწოდებინათ.

(1) 2. რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული მონაკვეთში: „სოფელში ხმა დადიოდა...“?

ა) ჰიპერბოლა. ბ) ეპითეტი.

გ) შედარება. დ) ფრაზეოლოგიზმი.

(1) 3. სოლოს რა თვისება ჩანს მწერლის სიტყვებში: „უხასიათობის გამო დათამ დაიმორჩილა“?

ა) ეგოიზმი. ბ) სუსტი ნებისყოფა.

გ) სულმდაბლობა. დ) სისასტიკე.

(1) 4. რატომ მივიდა დათას დედა სოფიოსთან, რის იმედი ჰქონდა მას?

ა) სოფიო დაარწმუნებდა ხალხს დათას უდანაშაულობაში.

ბ) სოფიოს ყველაფერს დაუჯერებდნენ.

გ) სოფიო შეძლებდა გამოსავლის პოვნას.

დ) დასჯის დროს სოფიო გადაეფარებოდა დათას.

(1) 5. რომელ ფრაზაშია გამოყენებული მხატვრული საშუალება?

ა) „დათა მართლა ხაფანგში გაბმულ მგელს ჰგავდა.“

ბ) „ყველა გრძნობდა, რომ ხალხმა სოლოს დანაშაული აპატია.“

გ) „სოფიო ნაწყვეტ-ნაწყვეტ იხდიდა ბოდიშს.“

დ) „სოფლის განაპირას ერთი მარტოხელა ქვრივი იდგა.“

(1) 6. რაზე მიუთითებს მწერლის სიტყვები: „იმ ერთმა სიტყვამ მასაც აუბა თვალი“?

ა) სოფიოს გონება გაუნათა.

ბ) სოფიომ მეტისმეტი სიმკაცრე გამოიჩინა.

გ) სოფიო შემწყნარებელი გახადა.
დ) სოფიოს გონება დაუბნელა.

(1) 7. რით დაუპირისპირდა ხალხი დათასა და სოლოს დანაშაულს?

ა) სამართლიანობით. ბ) დანაშაულით.
გ) მიკერძოებულობით. დ) უპასუხისმგებლობით.

(1) 8. როგორ მოექცა დათა დედას?

ა) ძალიან შეეცოდა. ბ) ხალხისგან დაიცვა.
გ) მასზე დარდობდა. დ) არც კი გახსენებია.

(1) 9. დათას რა თვისებები ჩანს ეპიზოდში: „ვიღაცამ შეუტია: – დაიჩოქე, შე მგლის ლეკვო!.. მაგრამ დათამ ფეხიც არ მოიცვალა“?

ა) ამპარტავნება და თვალთმაქცობა.
ბ) სიჯიუტე და ურჩობა.
გ) ცბიერება და გაიძვერობა.
დ) ლაჩრობა და სულმდაბლობა.

(1) 10. რა გრძნობა დაეუფლა სოფიოს, როცა ხალხი აღელდა დათას სიკერპისა და სისასტიკის გამო?

ა) დაიბნა. ბ) გაოცდა.
გ) შეეცოდა. დ) გაუხარდა.

(34) დაწერეთ თხზულება თემაზე: ერთი ადამიანის წამოძახილიც კმარა ბრბოს სამართავად. მასში მოხვედრილი პიროვნება, შიშისა თუ სხვა გარემოებების გამო, ვეღარ გამოხატავს საკუთარ აზრს.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი ტექსტის მოცემულ მონაკვეთში ეს პრობლემა და რამდენად აქტუალურია იგი დღეს.

ტექსტი III

ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან „სარჩობელაზედ“:

მზე გადიხარა: თბილმა, შეგუბებულმა ჰაერმა მოძრაობა დაიწყო. აიშალნენ მეურმეები თვალების ფშვნეტითა; პირზედ წყალი შეისხეს და შესაბმელად მორეკეს საქონელი, რომელიც სიცხის გატეხაზედ მინდვრად გასულიყო და სცოხნიდა გოლვისაგან გამხმარს ბალახსა. „ჰოო,

ხიო, პატრონ-ძაღლო...“ და სხვა ამისთანა და ამაზედ უარესიც ისმოდა მეურმეების ხმაურობაში. როცა შეაბეს და წინა-მეურმემ შოლტი გამართა, რომ ხარებს გაუტყლაშუნოს და დასძრას ურემი, მაშინ უეცრად ხევის ყურედამ ორი ყმაწვილი გამოვიდა გზაზედ.

ორივეს ტანზედ სალდათის მაუდის „კურტკები“ ეცვათ. ერთს მათგანს თავზედ ეხურა უშველებელი ჩერქეზული ქუდი. ქუდი ისე ჩამოფხატოდა თავზედ, რომ ცხადი იყო, ქუდის პატრონი სხვა ყოფილა და მხმარებელი სხვაა. მეორეს ეხურა სალდათური უწინდებური უკაზიროკო ქუდი.

ჩერქეზულ-ქუდიანი თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლისა იქნებოდა, მეორე ან თოთხმეტისა, ან ხუთმეტისა. უფროსის სახე არ იყო ძალიან მარილიანი: იმისი სხარტე და ფირფიტა ნიკაპი, იმისი წვრილი, სწრაფი და მოუსვენარი თვალი, ჩქარ-ჩქარი თვალთა ხამხამი ცხადად ამბობდა, რომ ამ კაცის კანში რაღაც უფხო გულია დამალული. მეორე, უმცროსი, – უფროსსა ჰგვანდა კიდეც და არცა ჰგვანდა: ჰგვანდა ზოგიერთ სახის ასოს მოყვანილობაში, მაგრამ უფრო მარილიანი იყო. ამისი შავი და ღრმა თვალები მკვახედ გამოიყურებოდნენ. წარბშეკრული და გულდახურული, თითქო რაღაცას ითმენსო და თავისთავს ძალას ატანსო, შინაგანი ამღვრეულობა არავის ამცნოსო. პირველი იმისთანა იერის ყმაწვილი იყო, რომ კაი კაცის კვალზედ წავიდოდა, მეორეს კი სხვა ნიშან-წყალი ჰქონდა – შესამჩნევი არა იქნებოდა-რა, ავის კაცის კვალზედ დადგებოდა, ქურდ-ბაცაცობის მეტს ვერაფერს ვერ შესძლებდა.

– გამარჯვება თქვენი, – უთხრა მეურმეებს უფროსმა.

– აი, გაგიმარჯოთ, – მისცეს პასუხი.

– თქვენ უთუოდ ქალაქს მიდიხართ.

– გამოცანა გერგება, – დაუძახა დაცინებით ერთმა მეურმემ.

უფროსმა ღიმილით ჩამოართვა ეს დაცინება და ლაქუცითაც. უმცროსმა უფრო წარბი შეიკრა და რისხვამ ელვასავით გაურბინა სახეზედ, მაგრამ თავი მალე შეიკავა. ეტყობოდა, რომ გულის მოძრაობას მოერია.

– აი, დალახვრა ღმერთმა ავი კაცი! – წამოიძახა უფროსმა: – ჩვენ თუქურმიშის შკოლაში ვიყავით, ჩვენ ორნივ ძმები ვართ, თავადიშვილები...

– ბეჟან! – დატუქსვის ხმით დაუძახა უმცროსმა თავის ძმას და ისეთის თვალით შეხედა, რომ სიტყვა გააწყვეტინა. ეტყობოდა, რომ უმცროსს რაღაც სიტყვა თავისის ძმისა არ მოეწონა და გაწყრა.

ბეჟანმა, თუმცა პირველში სიტყვა გაწყვიტა, მაგრამ მალე მოუტრიალდა გაწყვეტილ ამბავს და ძმას ყური აღარ ათხოვა.

– ჩვენ ორნივ ძმები ვართ, თავადიშვილები, – განაგრძო ბეჟანმა, – მამა-ჩვენმა ქალაქიდამ ერთი თუმანი გამოგვიგზავნა, – როცა დაგითხოვონო, ერთი რუსის პოვოსკა დაიჭირეთ და წამოდითო. ჩვენც, – აი, ამოაგდო ღმერთმა ავი-კაცის ქოქი, – ერთს რუსს გავურიგდით, რვა მანეთი მივეცით, რომ ქალაქში ჩავეყვანეთ. წამოგვიყვანა, გზაზედ დუქანში დაგვეთრო, გადმოგვყარა პოვოსკიდამ, თითონ შინ დაბრუნდა და ჩვენ ასე გამოგვისტუმრა. ჩვენი ბარგი და რვა მანეთი ფული თან გაიყოლა იმ სულ-ძაღლმა.

უმცროსი მთლად აირია. მიტრიალდა, ზურგი მეურმეებს და თავის ძმას შეაქცია, დაიწყო უაზროდ ყურება და მერე დაჟინებით დააცქერდა ჩამავალს მზესა.

– ერთი ასეთი ბუზმენტიანი ჩოხა გაიყოლია თან ჩემი, რომ ხუთ თუმნადა ღირდა, – დაიწყო ისევ უფროსმა, – ჩოხას ჯანი გავარდეს, ის ძველი და სხვა ახალი: მამა-ჩვენი შემძლებელი კაცია...

უმცროსი მოუტრიალდა ძმას უფრო გულამღვრეული და გაჯავრებული, ვიდრე წინად.

– ბეჟან, გეყოფა, კარგი!.. – უთხრა უმცროსმა, თითქო წყრომითაც და ვედრებითაც.

ბეჟანმა მაინც კიდევ ყური არ ათხოვა და მოჰყვა ისევ თავისებურად:

– ორი დღის უჭმელები ვართ. ცუდი საქმე დაგვმართა იმ ოჯახდაქცეულმა. აბა ეხლა რა უნდა ვქნათ ამ უცხო ქვეყანაში?

– ვაი ჩემს გამჩენს! – უპასუხა ერთმა დროულმა მეურმემ.

– უცხო ქვეყანაში რად იქნებით!.. ასე გონია, სათათრეთში იყვნეთ!.. ეს ქვეყანა საქრისტიანო საქართველოა. პურსაც გაჭმევთ, ღვინოსაც დაგალევინებთ და კაი ქეიფსაც გაგაწევინებთ. ვაი ავ-კაცს, რომ თქვენი ცოდვა აუღია, თორემ თქვენ რა გიჭირთ? ასე ჩაგიყვანთ ქალაქშია, რომ ქარიც არ მოგადინოთ.

უმცროსს წარბი გაეხსნა, მოღრუბლულს სახეზედ რაღაც სიამოვნების ფერმა გადაჰკრა. ერთობ მისის სახის მეტყველებამ განცვიფრებული სიხარული გამოსთქვა, თითქო ადამიანის გულკეთილობას პირველად შეხვდაო და უკვირსო.

იმ დროულმა კაცმა გახსნა ხურჯინი, ერთი შოთი ერთს მისცა, მეორე – მეორესა და ერთი ჩარექა ღვინოც ჩამოუსხა პატარა ტიკჭორიდამ.

– ვაი შენს პეტრეს! – დაიწყო იმავდროულმა. ჩვენ დალოცვილს ქვეყანაში შიმშილით ლეკიც არ მომკვდარა, თქვენ რად შეგშინებიათ? შეექეცით, შვილო! ეხლა კი ამ მშრალს პურს პურადძვირობაში ნუ ჩამოგვართმევთ, ამაღამ კი ასეთს ცხვრის მწვადებს გაჭმევთ, რომ ხონთქარმაც კი ტუჩები ილოკოს.

პეტრემ დაისო ორნივე თავის ურემზედ; წასვლა უთხრეს წინა მეურმესა. დაიძრა ქარავანი ურმებისა. ამტვერდა მშრალი გზა. საღამოს მეურმეებმა თითო-თითო ღერი შეშისა, შორიდამ წამოღებული, გადმოიღეს ურმებიდამ და ცეცხლი დაანთეს.

პეტრემ შესწო მწვადი თავის პატარა სტუმრებისათვის და როგორც შეეძლო გაუმასპინძლდა. ვახშამი სჭამეს. დაღალულნი მეურმეები დაეყარნენ და ძილს მიეცნენ.

პეტრემ ყმაწვილებს ქვეშ გაუშალა თავისი ნაბადი და უთხრა:

– თავადიშვილები ხართ, ჩვენსავით ცარიელ მიწაზედ გდებას ვერ აიტანთ.

ყმაწვილები დაწვნენ, პეტრეც შორი-ახლო მიეგდო და მკვდარსავით დაეძინა.

გათენდა მტრედისფრად. მეურმეები აიშალნენ, მაგრამ ჩვენმა პეტრემ თავისი სტუმრები თავის ადგილას ვეღარა ნახა. მიიხედ-მოიხედა და თვალი ვეღარსად ვერ მოჰკრა.

– ვაი შენ ჩემო თავო! – დაიძახა ბებერმა პეტრემ, რაკი გული დააჯერა, რომ ყმაწვილები გაპარულან, – აკი არ მომატყუეს ეს დროული კაცი! გაპარულან!.. წაიღებდნენ რასმეს!..

იკრა პეტრემ ჯიბეს ხელი და ორივე მოჭრილი ჰქონდა. კეთილმა ბერიკაცმა გულნაკლულად ჩაიცინა:

– აკი იმ ძუძუმწოვრებმა არ გამქურდეს ეს დროული კაცი! – სთქვა ღიმილით და თაკილითაც პეტრემ. – ჩემზედ ახია: ისე როგორ დავიძინე, რომ ვერც კი გავიგე. აი დალახვრა ღმერთმა სიბერე! არა, შვილო, ეხლა ჩემი შვილდი უნდა ძირს დავდო. ტყუილად კი არ მეუბნებოდა ჩემი უფროსი შვილი: მამი, – დაჰბერდი, შორს გზაზედ მეურმეობაში ვეღარ გამოდგებიო. აკი ვეღარ გამოვდეგ, მე კი მეგონა აღზევანსაც წავალ-მეთქი კიდევ მარილზედ. ჰაიტა, ტა, სირცხვილით შინ როგორღა მივიდე. მეურმე კაცი გამქურდეს! მერე ვინა? ძუძუთა ბავშვებმა!.. ჯიბე მომჭრეს, ჯიბე. ვაი შენ, ჩემო თავო!

– ბევრი წაიღეს? – ჰკითხა ვიღაცამ.

— სამი და ათი შაური, — მიუგო პეტრემ. — აქ შვილო, სავალალო ეგ კი არ არი, მაგას ვინა სჩივის. ეს სირცხვილი როგორა ვჭამო, როგორ! უსუსურმა ბავშვმა გამქურდა. ვისაც ვეტყვი, დამცინებს, ჯალაბსაც კი სიცილად არ ვეყოფი, მეზობლები ჯავრით გამხეთქენ, ბიჭო, მძინარეს ჯიბეები დამაჭრეს!..

არა, შვილო, რაკი ქართველმა რუსული შლაპკა დაიხურა, იმის საქმე წასულია. ფუ, ეშმაკს! მერე ვინა? ჯერ ტუჩებზედ დედის რძე არა ჰქონდათ შემშრალი... ეს დროული კაცი... ღმერთმა იმათ კი შეარგოთ და მე კი ეს სირცხვილადაც მეყოფა და სიცილადაც.

წაკითხულის გააზრება (10 ქულა)

(1) 1. რა მხატვრულ ხერხს იყენებს ილია ძმების ჩაცმულობის აღწერისას?

ა) არქაიზმებს.
ბ) ნეოლოგიზმებს.
გ) ბარბარიზმებს.
დ) დიალექტიზმებს.

(1) 2. რას გულისხმობს ავტორი სიტყვებში: „ეტყობოდა, რომ გულის მოძრაობას მოერია“?

ა) ეტყობოდა, რომ გაბრაზდა.
ბ) ეტყობოდა, რომ გულზე მოხვდა.
გ) ეტყობოდა, რომ დამშვიდდა.
დ) ეტყობოდა, რომ გულისთქმას არ აჰყვა.

(1) 3. რატომ გაუბრაზდა უმცროსი ძმა უფროსს?

ა) იმიტომ, რომ გლეხებს ლანძღავდა.
ბ) იმიტომ, რომ გლეხებს ატყუებდა.
გ) იმიტომ, რომ გლეხებს დასცინოდა.
დ) იმიტომ, რომ მისი ჯიბრით ლაპარაკობდა.

(1) 4. პეტრეს რა თვისებებზე მიუთითებს მისი სიტყვები: „ჩვენ დალოცვილს ქვეყანაში შიმშილით ლეკიც არ მომკვდარა, თქვენ რად შეგშინებიათ“?

ა) მზრუნველობასა და ყურადღებაზე.
ბ) თავდაჯერებულობასა და სიამაყეზე.
გ) უდარდელობასა და გულგრილობაზე.
დ) ცბიერებასა და გაიძვერობაზე.

(1) 5. რომელ ფრაზაშია გამოყენებული მხატვრული საშუალება?

ა) „პეტრემ შესწო მწვადი თავის პატარა სტუმრებისათვის.“
ბ) „საღამოს მეურმეებმა ცეცხლი დაანთეს.“
გ) „პეტრემ ყმაწვილებს ქვეშ გაუშალა თავისი ნაბადი.“
დ) „ბეჟანმა მაინც კიდევ ყური არ ათხოვა.“

(1) 6. რომელ ფრაზაში ჩანს, რომ უმცროსი ძმა აცნობიერებს პეტრეს კეთილშობილებას?

ა) „უმცროსს წარბი გაეხსნა.“

ბ) „უმცროსი მოუტრიალდა ძმას უფრო გულამღვრეული“.

გ) „უმცროსი მთლად აირია.“

დ) „დატუქსვის ხმით დაუძახა უმცროსმა თავის ძმას.“

(1) 7. ძმებთან ურთიერთობისას პეტრეს რომელ თვისებას გამოარჩევდით განსაკუთრებით?

ა) ცბიერებას.

ბ) მზრუნველობას.

გ) გულგრილობას.

დ) მიუკერძოებლობას.

(1) 8. რომელ მხატვრულ საშუალებას იყენებს ავტორი ფრაზაში: „პეტრეც შორი-ახლო მიეგდო და მკვდარსავით დაეძინა“?

ა) გაპიროვნებას.

ბ) ფრაზეოლოგიზმს.

გ) შედარებას.

დ) ჰიპერბოლას.

(1) 9. როგორ ახასიათებს მოხუცი მეურმე ყმაწვილებს მას შემდეგ, როცა იგებს, რომ სიკეთის სანაცვლოდ ძმებმა გაქურდეს?

ა) ლანძღავს.

ბ) დასცინის.

გ) ლოცავს.

დ) წყევლის.

(1) 10. ტექსტის ბოლოს რაზე დარდობს მოხუცი პეტრე განსაკუთრებით?

ა) ფული რომ დაკარგა.

ბ) ახლობლები რომ დასცინებდნენ.

გ) ძმები უჩუმრად რომ გაიპარნენ.

დ) ახალგაზრდებმა სიკეთე რომ არ დაუნახეს.

(34) დაწერეთ თხზულება თემაზე: ყველა ადამიანშია სიკეთისა და ბოროტების მარცვალი, მთავარი ისაა, რომელს მივცემთ გაღვივების უფლებას.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი ტექსტის მოცემულ მონაკვეთში ეს პრობლემა და რამ-დენად აქტუალურია იგი დღეს.